თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. თელავი 23.08.2018 წელი

თავმჯდომარეობდა: **დ. გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი;**

ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატი - **გ. მამუკელაშვილი;** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტ. გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნ. ვაყელიშვილი.**

. დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის #01 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი
თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

<u>**მოისმინეს:**</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის #01 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> დ. გოგოშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ნ. ვაყელიშვილს

მან აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულების საფუძველზე თელავის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხები ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, იმისათვის, რომ დროულად დაიწყოს პროექტების

განხორციელებისათვის საჭირო პროცედურები მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხები უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

<u>გადაწყვიტეს:</u> მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული წარმოდგენილი პროექტის სხდომაზე განხილვა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოშვილი